# ჩვენი თაობა

№1, მარტი, 2013 წელი

იძულებით გადაადგილებული მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთი



## რატომ შეიქმნა გაზეთი?

ჩვენ აფხაზეთის მე-14 საჯარო სკოლის მოსწავლეებს დიდი სურვილი გვქონდა შეგვექმნა გაზეთი, რომელიც არ იქნებოდა პოლიტიკური ხასიათის, გვსურს თინეიჯერებს მეტი გასაქანი ჰქონდეთ.

ვეცდებით, რომ ეს გაზეთი გავხადოთ საინტერესო ჩვენი თაობისათვის და არა მარტო მათთვის.

გუნდში ყველას განსხვავებული ხასიათი გვაქვს.

ვეცდებით, რომ ასეთივე მრავალფეროვანი იყოს ჩვენი გაზეთიც. მის შექმნაში დიდი შრომა ჩაიდო და გვინდა ჩვენს – თქვენს და ჩვენს, – ცხოვრებას მეტი ხალისი შევმატოთ.

ასევე თქვენ გექნებათ საშუალება დაგვიკავშირდეთ რედაქციაში და მოგვაწოდოთ თქვენი ნამუშევრები. ჩვენ გამოვაქვეყნებთ მათ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას გაზეთის მცირე ფორმატი მოგვცემს.

ყველანი გვიყვარხართ!

უფალი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი

*პატივისცემით „ჩვენი თაობის" რედაქცია*

ინტერვიუ საკუთარ თავთან

# სიყვარულზე შეყვარებული გოგონა



*– ვინ ვარ მე?*

– ერთი უბრალო, სიყვარულზე შეყვარებული გოგონა, რომელიც 24 საათი იცინის.

*– რას ვაკეთებ?*

– ვმარტოობ, ვცდილობ პოეტობას, მაგრამ ჯერ ბევრი მიკლია იქამდე.

*– რა დადებითი და უარყოფითი თვისებები მაქვს?*

– დადებითი ის, რომ ვარ მეგობრული, თბილი, ცოტათი საყვარელი. უარყოფითი – ვარ კრიტიკოსი, მოსიარულე შარი და „ბლატნოი" გოგო.

*– რას ვნანობ?*

– იმას, რომ ბევრი იმაზე ახლოს მოვუშვი გულთან, ვიდრე ამას იმსახურებდა.

*– რაზე ვოცნებობ?*

– ერთიან საქართველოზე, რადგანაც „მხოლოდ მაშინ აენთება გამარჯვების სანთელი, როცა ერთად იქნება ყველა კუთხის ქართველი".

*– და ბოლოს, რას ვეტყოდი თანატოლებს?*

– არასდროს დანებდეთ, ვინაიდან არ იცით, რამდენად ახლოს ხართ მიზანთან. დააფასეთ ის ადამიანები, რომელთაც უყვარხართ და გიყვარდეთ, რადგან „თავად ღმერთია სიყვარული". უკაცრავად, ცოტა ღიმილი და სითბო მოგპარეთ, მაგრამ სიყვარულს ქურდობა ეპატიება.

მოამზადა

*ივდით ხაზა*

*აფხაზეთის მე-14 საჯარო*

ნომრის სტუმარი

# დედა დინარი: „თუ მშობელი შვილებს უფალთან სიახლოვეს უშლის, ამ შემთხვევაში, მათ უპირატესი უნდა არჩიონ“

*წმინდა ნინოს მონასტრის წინამძღვარი დედა დინარი ადრე პედაგოგი გახლდათ. ამბობს, რომ მას მუდმივად უხმობდა შინაგანი ხმა, რომ ის აქ არ უნდა ყოფილიყო და სხვა გზას უნდა დადგომოდა. ეს გზა კი უფლისკენ იყო მიმავალი.*



***– რამ განაპირობა თქვენი გადაწყვეტილება?***

– ეს უფლის წყალობაა. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, შინაგანი ხმა მითითებდა, რომ აქ ჩემი ადგილი არ იყო. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მე დღეს აქ ვარ.

***– როგორია თქვენი დღის განრიგი?***

– მონასტერში უმთავრესია ლოცვა და შრომა. მონასტერში ლოცვა და შრომა ერთმანეთთანაა შეთანხმებული.

***– რამდენი წელია მოღვაწეობთ?***

– მოღვაწეობა დიდი სიტყვაა. აქ ვარ 15 წელია.

**– ვისი სახელობისაა მონასტერი და ტაძარი?**

– მონასტერი წმინდა ნინოს სახელობისაა, ტაძარი კი წმ. ანდრია პირველწოდებულის.

**– ამ ადგილთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

– ამ ადგილთან დაკავშირებთ შეგვიძლია მოვიყვანოთ წმ. დავით მეფის სიტყვები: „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. ვინაიდან, ამ ადგილას ყოფილა ჭაობი და ირგვლივ გაუვალი ეკალ-ბარდი. აქაურ მოსახლეობას საქონელი ეფლობოდა და ისმოდა ყვირილი „გვიშველეთ“ – დაგვეხმარეთო. ღვთის წყალობით და კეთილი ადამიანების თავდაუზოგავი მონდომებით, ჭაობი დაშრა, ეკალ-ბარდი გაიკაფა და დღეს, ეს ადგილი, ადამიანთა სულთა სახსნელად იქცა. ღვთის ნების გამტარებელი ადამიანების წყალობით, აშენდა ეს ტაძარი და ასეთი ადმოჩნდა ბატონი ლევან მატუა, რომელმაც ძალა და ენერგია ტაძრის და ამ კომპლექსის ასაშენებლად არ დაიშურა.

***– ვინ იყო პირველი მონაზონი ვინც აქ ალეკვეცა?***

– ეს იყო დედა მართა (ბუკია).

***– რამდენი მონაზონი და მორჩილია ტაძარში?***

– 2 მონაზონი და 6 მორჩილი.

***– დღევანდელი მოზარდები სუიციდისკენ არიან მიდრეკილნი, რას ურჩევდით მოზარდებს და მათ მშობლებს?***

– ყველა თაობის ადამიანს ვურჩევ მოძღვარი ჰყავდეს და უსმინოს მას. უფალთან მყოფი თვითმკვლელობას არ ჩაიდენს. შვილები მშობლებს ყველაფერში უნდა უჯერებდნენ, მაგრამ თუ მშობელი მათ უფალთან სიახლოვეს უშლის, ამ შემთხვევაში, შვილებმა უპირატესი უნდა არჩიონ. ღმერთმა დაგვლოცოთ და გაგახაროთ.

მოამზადეს *ელენე წითაშვილმა და ივლით ხაზალ*

ნომრის სტუმარი

# ნატო ესართია: „ოჯახიც და კარიერაც ორივე განუყოფელია ჩემთვის“



*აფხაზეთიდან დევნილი, ამჟამად სოფელ ახალკახათის მკვიდრი ქალბატონი ნატო ესართია აფხაზეთის № 14 საჯარო სკოლის პედაგოგია.*

***– მომიყევით თქვენზე, მინდა მკითხველს გაეცნოთ, ვინ ბრძანდებით და რა განათლება გაქვთ მიღებული?***

– დავიბადე ტრადიციულ ოჯახში. ვსწავლობდი გალის რაიონის სოფელ აჩიგვარის № 1 საშუალო სკოლაში, წარმატებით დავამთავრე ზუგდიდის № 103 პროფესიული სასწავლებელი და ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გეოგრაფიული ფაკულტეტის ეკონომგეოგრაფის სპეციალობა მივიღე.

***– რამდენი ხანია რაც სკოლაში მუშაობთ?***

– მუშაობა პირველად დავიწყე. ს. ოქტომბრის საბაზო სკოლაში. მაშინ III კურსის სტუდენტი ვიყავი. მახსოვს, ჩემი პირველი გაკვეთილი, როცა სასწავლო ნაწილის გამგემ, ე.წ ქირიამ თავი წარუდგინა IX კლასის მოსწავლეებს. კლასში 23 მოსწავლე იყო, უმეტესობა ბიჭები, პირველი გაკვეთილი ყველა ახალბედა მასწავლებლისთვის რთულია, მაგრამ ჩემი თავი დავარწმუნე, რომ მე თავს გავართმევდი და აი, 1993 წლიდან ოქტომბრის საბაზო სკოლის შემდეგ აფხაზეთის № 14 საჯარო სკოლაში დაუღალავად ვემსახურები მომავალი თაობის აღზრდას.

***– რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, როგორც პროფესიონალისთვის: ოჯახი თუ კარიერა?***

– იცით, ეს კითხვა ჩემთვის ცოტა დამაბნეველია, რადგან მე არ შემიძლია უფრო მეტი უპირატესობა რომელიმე ერთს მივანიჭო.

ვფქრობ, რომ ორივე განუყოფელია ჩემთვის. ჩემი მიზანია, სკოლაში იყოს მნიშვნელოვანი სასკოლო გარემო, სადაც მოსწავლეები და აქ მომუშავე პერსონალი თავს კარგად იგრძნობს. ვაღიარებ, კრიტიკული ვარ, ეს კი ობიექტურობასთანაა დაკავშირებული და მეხმარება მიზნის მიღწევაში. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებსაც მიუძღვით წვლილი ჩემი მასწავლებლად ჩამოყალიბებაში. დიდი მადლობა თქვენ, გაზეთის რედაქციას, რომ მომეცით ამის შესაძლებლობა.

***– და ბოლოს, რას უსურვებდით ჩვენს გაზეთს?***

– გამიხარდება, შემდგომი თვეები, წლები თუ „ჩვენი თაობა“ ჩვენი გაზეთი გახდება. გაზეთს ვუსურვებ წარმატებებს, თქვენი რედაქციის წარმომადგენლებს კი, სულის მხნეობას და წარმატებული გზების გავლას... „წინ წარმატებისკენ და გამარჯვებისკენ“

ინტერვიუ მოამზად...
მაია თოდ...
*აფხაზეთის მე-14 საჯარო სკ...*

# გმირი ქალი



*მინდა მოგიყვეთ გმირ ქალზე, რომელმაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტი 40 დღე საკუთარ სახლში დაასვენა. ეს იყო ქალბატონი. **ნათელა აჯალიანი** (ზარანდია). იგი სოფელ ჯიხაშკარში ცხოვრობდა და ერთი წელია გარდაიცვალა. საუბარი მქონდა მის შვილიშვილ ნინო ზარანდიასთან.* *__ელენე:__ გვიამბეთ ამ ამბის შესახებ, რამდენი ხანი იყო ბატონი ზვიადის ცხედარი მის სახლში?*

*__ნინო:__* გარდაცვალების შემდეგ 40 დღე იყო ცხედარი ბებიას სახლში. ეს ამბავი თვით შვილებმაც კი არ იცოდნენ (მიუხედავად იმისა, რომ იმ სახლში ცხოვრობდნენ) მხოლოდ ბებიამ და ბაბუამ იცოდნენ.

*__ელენე:__* რას ფიქრობდა ქნ. ნათელა როდესაც ცხედარი სახლში ჰყავდა დასვენებული?

*__ნინო:__* ბებიამ კარგად იცოდა, რომ ამ ამბისგან დიდ ხეირს ვერ მიიღებდა, თუმცა ძლიერ მორწმუნე ქალი იყო და დაბრკოლებებს არ შეუშინდა. პრეზიდენტის საფლავთან ბებია ორმოცი დღის განმავლობაში მიდიოდა, სანთელს ანთებდა და ლოცულობდა.

*__ელენე__*: – რა მოხდა შემდეგ, საფლავი მათ სახლში დღესაცაა?

*__ნინო:__* საფლავი დღესაცაა. თუმცა ცხედარი გადასვენებულია. ადრე აკითხავდნენ მამის საფლავს ძმები გამსახურდიები. დღესაც ბევრი ადამიანი მიდის და პატივს მიაგებს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავს. უამრავი სანთელი ინთება იმ ადგილას.

*__ელენე:__* გმადლობთ ასეთი საინტერესო საუბრისთვის.

*__ნინო:__* – პირიქით, მადლობა თქვენ „ჩვენი თაობას" ვუსურვებ წარმატებებს და წინსვლას.

მოამზადა *ელენე წითაშვილმა,*
*ორსანტიის საჯარო სკოლა*

# ბავშვთა უფლებები



1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ ერთხმად მიიღო ბავშვების უფლებათა კონვენცია, რომლის მიხედვით, ყველა ბავშვი და ახალგაზრდა განსაკუთრებული უფლებებით დაჯილდოებული სრულფასოვანი ადამიანია. კონვენცია ბავშვების უფლებების შესახებ არის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც შედგება 54 მუხლისგან. კონვენციაში არსებული ძირითადი უფლებები შეგვიძლია 4 კატეგორიად წარმოვადგინოთ.

*სიცოცხლე:* ბავშვს აქვს სიცოცხლის, მისი შენარჩუნებისა და ჯანსაღი განვითარების უფლება, სამედიცინო მომსახურების უფლება.

*განვითარება:* ბავშვს აქვს განათლების, ინდივიდუალური განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრული გამოვლენის უფლება.

*დაცვა:* ბავშვს აქვს უფლება იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისგან, ომისა და გაჭირვებისგან.

*მონაწილეობა:* ბავშვს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატოს თავისი შეხედულებანი და მიიღოს სასურველი ინფორმაცია.

მოამზადა ლიანა ესართიამ

*აფხაზეთის მე-14 საჯარო სკოლა*

# როგორ უნდა ვკვებოთ გონება

ადამიანს საკვების გარეშე ერთ თვეზე მეტი შეუძლია გაძლოს. გონებას კი, სრული დატვირთვით რომ იმუშაოს, მუდმივი კვება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ტვინის უჯრედები სათანადოდ ველარ მოემსახურებიან. თუ გონებრივი სამუშაო გაქვს, თავის დროზე ჭამა არ დაგავიწყდეს.

## პრაქტიკული ჩვევები

დღეში არანაკლებ ოთხჯერ – უმჯობესია, ექვსჯერ ჭამო.

ეცადე, არ დაარღვიო საკვების მიღების ჩვეული დრო და შიმშილით თავი არ გაიწვალო. ტვინის არაადეკვატური მუშაობის შედეგების გამოსწორება ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე მათი თავიდან აცილება.

ჩანთაში ყოველთვის იქონიე ვაშლი, ან ორცხობილა, რომ საცობში მოხვედრისას წაიხემსო.

## რა ვჭამოთ?

ადამიანის ენერგიის წყაროდ, პრაქტიკულად, ნებისმიერი ორგანული საკვები გამოდგება, თუმცა ტვინის უჯრედები უპირატესობას ანიჭებს გლუკოზას, რომლის ძირითადი წყარო ნახშირწყლებია. ამის გამო ქათმის მკერდის თეთრმა ხორცმა შეიძლება შენი ტვინი საერთოდ მშიერი დატოვოს. ტვინის მაქსიმალური მუშაობისათვის ნახშირწყლებით იკვებე.

## ჩირი სასარგებლოა

სამუშაო მაგიდაზე ყოველთვის გქონდეს ჩირი. მას შეუძლია ტვინს სწრაფად მიაწოდოს გლუკოზის საჭირო რაოდენობა. ამ მხრივ ის უფრო სასარგებლოა, ვიდრე ჩვეულებრივი შაქარი ან კანფეტი.

ყოველთვის შეგიძლია ჩირით დაამთავრო სადილი თუ ის ნაკლებ ნახშირწყლებს შეიცავს.

თავს წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ თუ უცებ გული ტკბილს მოგთხოვთ. სავსებით შესაძლებელია რომ შენს ტვინს დამატებითი ენერგია საწრაფოდ ესაჭიროება. ჭამე ხილი, მასში ბევრი ნახშირწყალი და ამავე დროს ცოტა კალორიებია.

## არანაკლებ 1,5 ლიტრი წყალი დალიეთ

ნახშირწყლები სხვადასხვაგვარია, მარტივი – ეს, პრაქტიკულად ყველაფერია, რაც მაენეა: შაქარი, კანფეტები, ნაყინი, ფქვილის ნაწარმი, შემწვარი და სხვა გემრიელი საკვები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი პრაქტიკულად, ერთ მთლიან გლუკოზას წარმოადგენს ტვინისათვის, ეს საკვები „შაქარი" არ არის. დასაწყისში გლუკოზა ბევრია და ორგანიზმი მათ გადასამუშავებლად მეცდომით ინსულინის მთელ ძალას გამოყოფს. სრულებით სხვა საქმეა რთული ნახშირწყლები. ესენია: ფაფები, პური, მაკარონი, ბოსტნეული, პარკოსნები... მოკლედ, ყველაფერი, რაც საჭმელად ვარგისია კუჭში მოხვედრისას, ისინი მაშინვე გლუკოზად არ გარდაიქმნება. ეს ნელი ეტაპობრივი პროცესია.

გონება რომ კარგ სამუშაო ფორმაში იყოს, დღეში არანაკლებ 1,5 ლ წყალი დალიეთ.

სპორტი

# რისი გაკეთებაც შეუძლიათ ბიჭებს, ორჯერ მეტს გოგონები აკეთებენ



ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ფეხბურთი გოგონების საქმე არ არის, მაგრამ ისინი საპირისპიროს ამტკიცებენ. სოფელ ოქტომბერში შეიქმნა ფეხბურთის მოყვარულ გოგონათა გუნდი „ნიკე". რომელიც წელიწადში რამდენჯერმე ატარებს ამხანაგურ შეხვედრებს სხვა სკოლის გუნდებთან. გთავაზობთ ინტერვიუს გუნდის კაპიტან მირანდა აფხაზავასთან.

***– ვისი ინიციატივით და რა მიზნით შეიქმნა გუნდი?***

– ინიციატივა ჩემი იყო, მაგრამ გუნდის შექმნას რაც შეეხება, ყველამ ერთად მოვინდომეთ და ასე ერთობლივად შევქმენით. ამას კი ერთი მიზანი ჰქონდა „სკოლის პოპულარიზაცია".

***– რა კრიტერიუმით შეარჩიეთ მოთამაშეები და ვინ არიან ისინი?***

– გადავწყვიტეთ გუნდში ისეთი მოთამაშეები ყოფილიყვნენ, ვისაც კარგად გამოსდიოდა თამაში. მგონი გამოგვივიდა კიდეც (იცინის). ესენი არიან: *მირანდა აფხაზავა, თაკო გვარამია, მარი ციმინტია, ლიკა გრიგოლავა და მარიკა მამუგია.*



***– როგორ გგონიათ რა არის საჭირო, რომ გახდე კარგი ფეხბურთელი?***

– ჩემი აზრით, ამისთვის საჭიროა გუნდური მუშაობა და მეტი ვარჯიში.

***– მიგაჩნიათ, რომ ქალებისთვის შეზღუდვები არ არსებობს?***

– არა, რადგანაც რისი გაკეთებაც შეუძლიათ ბიჭებს, მათზე ორჯერ მეტს გოგონები აკეთებენ.

მოამზადა თეკლე ციკუტანიამ,
*აფხაზეთის მე-14 საჯარო სკოლა*



## უბრალოდ დედას!

ჩემი სიცოცხლე, ჩემო კარგო, შენით დაიწყო,
ის შენ მაჩუქე და ამისთვის მადლობა, დედა.
მაგრამ რა ვუყოთ, რომ სიცოცხლეს მე არ ვაფასებ...
მოდი, დღეს მაინც ნუ ვიფიქრებთ ამაზე, დედა.
ყველაზე წმინდა და ძვირფასი, კარგო, შენა ხარ.
მინდა გახსოვდეს, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ!
გთხოვ, მაპატიე, თუკი ხშირად არ ვამბობ ამას,
თუმც, არასოდეს დაგივიწყებ, ძვირფასო, ამაგს.
გთხოვ, მაპატიე, შენს წინაშე ბევრი ცოდვა მაქვს,
მაპატიე, რომ შევიცვალე... ალბათ, გრძნობ ამას.
ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, წლებმა შემცვალა,
პატარა გოგო, დამჯერი და ჭკვიანი გოგო
ისე წავიდა, ვეღარც მივხვდი, როდის ან როგორ.
ბევრჯერ გატკინე, აგაგდე, ვნანობ ძალიან,
თუმც, გვიანია სინანული, რაღა აზრი აქვს...
შენი ტკივილი ორჯერ უფრო ძალიან მტკივა.
შენმა ცრემლებმა ო, რამდენჯერ მწარედ მატირა.
ჩემი შეცდომა მართლაც ძალზე ძვირი დამიჯდა,
ვიცი, შევცდები ალბათ ბევრჯერ... ო, ეს არ მინდა,
მაგრამ ვაი, რომ შევიცვალე, ვეღარ ვგრძნობ სითბოს
ვეღარც სიტკბოსას, ვეღარც გრძნობის და ვკვდები თითქოს.
გული კი მაინც სიყვარულს და სიხარულს ითხოვს,
გონება კიდევ არ უჯერებს, ვიყოფი თითქოს,
თავს ვერ ვიკავებ, გამიმართეს ნამდვილი ომი,
ორივე მღუპავს! შენ ვერ მშველი, არ გძალუძს, დედი,
ვერვინ მიშველის, ეჰ, არ იცით რა ხდება ჩემში,
შენ კარგად იცი, როდის ვცდები და რა სჯობს ჩემთვის.
რომ მსაყვედურობ, გული მაშინ ძლიერ მიკვდება,
რადგან გაბრაზებ უნებლიედ, დაუფიქრებლად.
მინდა გჯეროდეს, რომ მიყვარხარ, ძვირფასო, ძლიერ!
თუ შეგიძლია, მაპატიე, გული გატკინე.
ნეტავ შემეძლოს, შენ, რომ გგავდე, ვიყო ძლიერი
და ვიქნებოდი ცხოვრებაში მე ბედნიერი.
მერე კი, როცა წლების მერე ვიქნები დედა,
ეჰ, მაშინ უფრო დავიფასებ შენს ამაგს, დედა!

ივდით ხაზალია,
აფხაზეთის მე-14 საჯარო სკოლა

## ჩემი ოდაბადე

ყველას განსხვავებული მოგონება აკავშირებს აფხაზეთთან, მაგრამ ის ეთითოეული ჩვენგანისთვის დიდი ტკივილია. წლები გავიდა... თითქოს არაფერი, ჩვეულებრივად მივყვებით ცხოვრების რიგში. ვსუნთქავთ... ვცოცხლობთ და მუდმივად გვაკლია რაღაც, ეს კი აფხაზეთია, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი და გამორჩეული კუთხე. საკუთარ სამშობლოში დავიკარგეთ, სულის ნაწილი წავგვართვეს, რომელსაც ვერასოდეს ვერაფერი შეცვლის.



XXI საუკუნის მიღწევებმა ჩვენ ვერ გვიშველა, პირიქით, დღითი დღე იკლებს შანსი იმისა, რომ ჩვენ დავბრუნდებით. მიუხედავად ამისა, მე დავიბადე იქ, სადაც შევიყვარე თავისუფლება და ამავდროულად მე სწორედ იქ მართმევენ ამის უფლებას. ჩემი ოდაბადე აფხაზეთია. სიმორის მიუხედავად, მისით ვსუნთქავ და მჯერა, დადგება დრო, როცა ორი მოძმე ერი ერთ ბეწვის ხიდზე ხელჩაკიდებული გაივლის. ამისთვის კი ერთ მუშტად უნდა შევიკრათ. გახსოვდეთ, ქართველებო: „მხოლოდ მაშინ აენთება გამარჯვების სანთელი, როცა ერთად იქნება ყველა კუთხის ქართველი!"

## ქალი

„ქალი ბუნების ყველაზე მისალები შეცდომაა", კაცები კი ასე არ თვლიან და მათ მაინც სუსტი სქესის წარმომადგენლებად მიიჩნევენ. მუდმივად ცდილობენ მათზე გავლენა მოახდინონ, მაგრამ ქალებმა დაამტკიცეს, რომ ისინი არა მარტო კარგი დედები, მეუღლეები და დიასახლისები არიან, არამედ შეუძლიათ დაკავდნენ ნებისმიერი სპორტით, თავი გაართვან ბიზნესს და საერთოდ, ისინი არანაირად არ უდებენ ტოლს მამაკაცებს. უბრალოდ, ამის აღიარება ე.წ. ძლიერი სქესისთვის რთულია, რადგან უძველესი დროიდან დომინანტობას არიან მიჩვეულნი. ახალი სიცოცხლის დასაბამი სწორედ ქალია და რაც არ უნდა იყოს, ყველაზე ძლიერ მამაკაცებსაც კი სჭირდებათ მისი თანადგომა. კაცებო, გახსოვდეთ, რომ ღმერთმა ქალი შექმნა თქვენს ტოლად და არ გვინდა ევას ცოდვებში ყველა ქალის გარევა– ყველა ქალს, ყველა დედას ვულოცავ გაზაფხულის ამ მშვენიერ დღესასწაულს! ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სულიერ სიმშვიდეს."

*რედაქტორი:* ივდით ხაზალია (ივდო-ოტობარი) *გამომცემელთა ჯგუფი:* ივდით ხაზალია, ელენე წითაშვილი, მაიკო თოდუა, თეკლე ციკუტანია, დიანა ესართია. *ხელმძღვანელ-კონსულტანტი:* ლიანა (ზურანდა) ქვიტია.

*ჩვენთან დაკავშირების მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ*
*შემდეგ ნომერზე: 599 95 85 10,*
*ან ელექტრონულ ფოსტაზე –* **chveni.taoba@ma**